თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5576306

ნომერი: AR1841236

თარიღი : 30.07.2021

გაცემის თარიღი : 31.08.2021

გაცნობის თარიღი : 31.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცა ღოღობერიძის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 30 ივლისის №AR1841236 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5010108 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 09 აგვისტოს №5540498 ბრძანებით და 2021 წლის 13 აგვისტოს №5546748 გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა სრულად შევსებული. კერძოდ, საზაფხულო ფართობებში კვლავ შეყვანილია შენობის გარეთ არსებული მწვანე სივრცეები. საჭიროა აღნიშნული სივრცეები ამოღებულ იქნას ბინების საზაფხულო ფართობებიდან და შესაბამისად საერთო ფართობიდან. ამასთან, C2 კორპუსში, №66 ბინის საზაფხულო ფართობის მაჩვენებელი და ექსპლიკაციებში დაფიქსირებული ამავე ბინის საზაფხულო ფართობების მაჩვენებლები ერთმანეთთან შეუსაბამოა. გარდა ამისა, A კორპუსზე ნაწილობრივ წაშლილია ღერძები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით და წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5010108 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), ფართობების გასწორებით და ღერძების სრულყოფილად დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 13 აგვისტოს №5546748 გადაწყვეტილებას გაეცანით 2021 წლის 13 აგვისტოს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2021 წლის 30 აგვისტოს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 30 ივლისის №AR1841236 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში